მოსწავლეების ბუნებასთან დაკავშირების გზები

ავტორი: **მალინა საჯაია**

ბავშვები ბუნებასთან ხშირი კონტაქტით სხვადასხვა ტიპის სარგებელს იღებენ, მათ შორის ფიზიკურსა და ფსიქოლოგიურს. იმ ბავშვებში, რომლებიც მეტ დროს ატარებენ ბუნებაში, ასთმის, დეპრესიისა და სხვა დაავადებების უფრო დაბალი მაჩვენებელია. კვლევებმა აჩვენა, რომ სკოლის გარშემო მწვანე სივრცე გავლენას ახდენდა სკოლაში მოსწავლეთა ქცევასა და აკადემიურ მოსწრებაზე.

ამ სარგებლის გათვალისწინებით, მასწავლებლებს კარგი მიზეზი აქვთ, „მეტი ბუნება შეიტანონ“ საკლასო ოთახებში. ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში:

1. **წაიხემსეთ ან ისადილეთ გარეთ (სუფთა ჰაერზე):** ეს შეგიძლიათ გააკეთოთ ყოველთვის, როდესაც ამინდი ამის საშუალებას მოგცემთ. მომზადებისას მოსწავლეებს შენობაშივე შეგიძლიათ ასწავლოთ საჭირო უნარ-ჩვევები, როგორიცაა – ხალიჩაზე ან პლედზე ჯდომა და ნარჩენების მართვა, რომლებიც ქარიან ამინდში შეიძლება გაგვიფრინდეს. შესაძლებელია ღია ცის ქვეშ გაკვეთილის ჩატარებაც, განსაკუთრებით, როცა ბიომრავალფეროვნებას მიმოიხილავთ.

2. **„შემოიტანეთ“ მეტი ბუნება შიდა სივრცეში.** ბუნებაში გაყვანის ნაცვლად, მიუტანეთ მოსწავლეებს ცოტაოდენი ბუნება საკლასო ოთახში. შეგიძლიათ მორთოთ საკლასო ოთახი ბუნების სურათებით, გამოფინოთ ფოტოები ბავშვებისა, რომლებიც გარემოს იკვლევენ და ამით შეახსენოთ თქვენს მოსწავლეებს მათი კავშირი ბუნებასთან.

3. **გამოიყენეთ ბუნებრივი მასალა:** საკლასო ოთახის სხვადასხვა კუთხეში ბუნებრივ მასალას საინტერესო სენსორული გამოცდილების მოცემა შეუძლია. შემოიტანეთ ტოტები, ნაფოტები ან კენჭები სათამაშო სივრცეში. მათემატიკის სწავლებისას ხშირად გვეძლევა შესაძლებლობა, ჩავანაცვლოთ ხელოვნური სასწავლო მასალა ბუნებრივით. მაგალითად, შეგიძლიათ სეირნობისას ბავშვებს შეაგროვებინოთ რკოები, გირჩები, ფოთლები და ოთახში ერთად დაითვალოთ მათი რაოდენობა. გამოიყენეთ ბუნებრივი მასალები სახელოვნებო ან სამშენებლო პროექტებისათვის, რათა დააინტერესოთ ბავშვები იმ მრავალფეროვანი ტექსტურით, ფორმითა და ფერით, რომლებიც ბუნებაში მოიპოვება.

4. **იფიქრეთ კლასში ცხოველის მოყვანაზე:** მართალია, კლასში ერთი ან რამდენიმე ცხოველის ყოლა დიდ ვალდებულებას დაგაკისრებთ თქვენც და მოსწავლეებისაც, მაგრამ მათ შეუძლიათ თქვენს მოსწავლეებსა და ბუნებას შორის უნიკალური კავშირების უზრუნველყოფა.

5. **შემოიტანეთ ველური ბუნება:** შეგიძლიათ უსაფრთხოდ შემოიტანოთ ველური ბუნება თქვენს კლასში. ფანჯრის მიღმა განთავსებულ ჩიტების საკვებს შეუძლია მათი მოზიდვა. რამდენიმე ბინოკლითა და საველე გზამკვლევით შეიარაღებული მოსწავლეები ჩიტებს დააკვირდებიან.

6. **გაახარეთ მცენარეები.** კლასში მცენარეების შემოტანას, მაშინაც კი, თუ „მწვანე თითები“ არ გაქვთ, შეუძლია ატმოსფეროს სრული გარდაქმნა. კვლევები გვიჩვენებს,

©განათლების e- სახლი

რომ მწვანე ხედები ამცირებს სტრესს, აუმჯობესებს ყურადღებას და სტანდარტულ ტესტებში მოსწავლეების შედეგებსაც კი.

ადვილად მოსავლელი ოთახის მცენარეებიდან საკვებად გამოსადეგი ხილისა და ბოსტნეულის ჩათვლით, ყველა მცენარეს შეუძლია გააღრმაოს მოსწავლის კავშირები ბუნებასთან. ფანჯარასთან ყუთში ან გარეთ მდებარე დამტვერვად მცენარეებს შეუძლიათ, მოიზიდონ ფუტკრები და პეპლები. შერჩევამდე მეტი გაიგეთ მცენარის შესახებ, რათა დარწმუნდეთ, რომ ის უსაფრთხოა. ზოგი მცენარე შეიძლება შხამიანი იყოს ან გამოიწვიოს კანის გაღიზიანება, თუ მოსწავლე მას შეეხება.

ბუნებასთან კავშირს დიდი გავლენა შეუძლია მოახდინოს ყველა მოსწავლის კეთილდღეობასა და სწავლაზე, განსაკუთრებით მათზე, ვისაც ემოციური, აკადემიური ან ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები აქვთ. ტრადიციულ საკლასო ოთახში ყველა ჩვენგანისათვის არსებობს ბევრი გზა, რათა დავნერგოთ ბუნებაზე დაფუძნებული განათლება ჩვენს სწავლებაში მხოლოდ მცირე ცვლილებების განხორციელებით.

წყარო: Edutopia.org

©განათლების e- სახლი